

მცირეს ინფორმაცია განაცემებზე

გამარჯობათ. იქნებ გამარკვითოთ მცირე მეწარმის სტატუსუს მქონემ რა დეკლარაცია უნდა ჩააბაროს წლიური განაცემების? შეტყობინება მოუვიდა, თუკი არ აქვს განაცემი ფიზიკურზე ნულოვანს გაგაგზავნით ალბათ ხო?

პასუხი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 999 ბრძანებაში 2016 წლის 26 აგვისტოს შესული ცვლილების შესაბამისად:

„მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში წარადგინოს „ინფორმაცია საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ (დანართი №5). ხოლო თუ ხელფასის სახით გაცემული თანხები აღემატება ერთობლივი შემოსავლის 25%-ს ამავდროულად აბარებს დეკემრის თვის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციას.